

სიტყვა ორ მდინარეს შორის

ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულების მიჯნაზე ტიგროსისა და ევფრატის შუამდინართში შუმერლებმა შექმნეს ერთ–ერთი პირველი დამწერლობა მსოფლიოში, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ (და მათი გზით სხვა ხალხებსაც) წერილობით აღებეჭდათ და საუკუნეებში გადაეცათ თავიანთი სიტყვიერი შემოქმედება. ამ დროიდან მოყოლებული ათასხუთასი წლის მანძილზე უხსოვარი ტრადიციების მქონე შუმერული მხატვრული სიტყვა ყალიბდება მწერლობად, თუმცა ის არ წყვეტს სისხლორცეულ კავშირს ზეპირსიტყვიერ ჟანრებთან. აქ უნდა შეინიშნოს, რომ თავდაპირველად დამწერლობის მიზანი არ ყოფილა სიტყვიერების, როგორც შემოქმედების, აღბეჭდვა–შენახვა და მისი დროსა და სივრცეში გადაცემა. მისი გამოგონებისთანავე მას უაღრესად პრაგმატული, შემოქმედებისგან ძალზე შორსმყოფი ამოცანა ეკისრა. პირველი დაწერილი ტექსტები გვამცნობს, თუ ტაძრის მეურნეობაში მშრომელმა - კაცმა თუ ქალმა სახელდებით - თავისი შრომის საზღაურად რამდენი პური, ზეთი, მატყლი თუ ხახვი მიიღო; ამ სოლისებრ, უფრო ხატოვან წარწერებიანი დაფებიდან ვგებულობთ, თუ რამდენი ცხვარი ძოვს სატაძრო სამოვარზე და რა გასამრჯელოს იღებს მათი მწყემსი. სინტაქსი მარტივია, ნიშნების რაოდენობაც შეზღუდულია გადმოსაცემი მწირი და ერთფეროვანი შინაარსით. ეს უფრო სტენოგრაფიულ ჩანაწერებს ჰგავს, სადაც ხშირად მორფოლოგიური ნიშნებიც კი არ არის გამოხატული. ცხადია, ნიშნების მწირი მარაგი ვერ იტვირთავდა მეტაფორებით გაჯერებულ ვრცელ ნარაციებს ან ღმერთებისადმი მიძღვნილ ჰიმნებს. ეს მომავლის საქმე იყო. რამ მისცა სტიმული ლურსმული დამწერლობის მცოდნეს (შუმერულად დუბსარს), რომ უხსოვარი დროიდან თაობიდან თაობამდე ზეპირად მოარული ტექსტებისთვის თიხაზე მყარი ადგილი მიეჩინა. ცხადია, ვერ ვიფიქრებთ, რომ ეს ეტაპი ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო, რომ მოხდა დროსა და სივრცეში რაღაც გაჭრა, ნახტომი. თუმცა მითოსი დამწერლობის მიგნების შესახებ, რომელიც ერთმა ვრცელმა ეპიურმა ტექსტმა (იხ. "ენმერქარი და არათას ბატონი") შემოგვინახა, დამწერლობის შემოღებას - ზეპირობიდან წერილობაზე გადასვლად - სწორედ ერთ მშვენიერ დღეს მიაწერს. ეს მითოსი ამგვარი შინაარსისაა: ურუქის მეფეს ენმერქარს სიტყვიერი პაექრობა ჰქონდა შორეული არათას ბატონთან. ვინც სიტყვა–პასუხში გაიმარჯვებდა, პირველობაც მას დარჩებოდა ქვეყნიერებაზე და ქალღმერთი ინანაც მის მხარეზე იქნებოდა. ორი მბრძანებელი ძნელად ასახსნელ იგავებს უგზავნიდა ერთმანეთს მაცნის პირით; მაცნის მეხსიერება იყო ის ჭურჭელი, რომელსაც უნდა შეენახა მეფის ნაკარნახევი. ერთხელაც, როცა „მოციქულისთვის სიტყვა ძნელი შეიქნა და ვეღარ გაიმეორა, ენმერქარმა თიხას ხელი შეახო და სიტყვა ფირფიტაზე აღბეჭდა“. მაცნის მეხსიერება ვერ შეინახავდა ისეთ სიტყვას, რომელიც მას უკვე აღარ ესმოდა, რომლის უბრალო განმეორებაც კი აღარ შეეძლო. ამიერიდან მეფური სიტყვა დამწერლობით უნდა შენახულიყო. შუმერულმა ეპოსმა შემოინახა ხსოვნა კაცობრიული ცივილიზაციის ამ გარდამტეხ მომენტზე. „ამ დღემდე, – ნათქვამია ტექსტში, – თიხაზე აღბეჭდილი სიტყვა არ არსებულა. ქულაბას ბატონმა დაფაზე სიტყვა აღბეჭდა, ჭეშმარიტად ასე მოხდა!“ ამიერიდან მეფე თავის იგავებს წერილობით გზავნის, აქედან იწყება მწერლობა, ლიტერატურა, თავისი ნამდვილი აზრით.

დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაცული სამი ათასამდე თიხის ფირფიტა, ბაზალტი, ქვაქვიშა თუ დიორიტი წარმოადგენს ამ უცნობი წარმომავლობის ხალხის სიტყვიერ შემოქმედებას, რაც, ერთი მხრივ, თუ მოწმობს მისი სულიერი კულტურის სიმაღლეს და შემოქმედებით გაქანებას, მეორე მხრივ, ააშკარავებს შუმერული ადამიანის სულიერ, არცთუ იშვიათად, თეორიულ და ხშირად პრაგმატულ ინტერესთა ყოვლისმომცველობას. სამყარო და ადამიანური საზოგადოება - ეს ორი კოსმოსი გაშლილია მის წინაშე თავისი მრავალფეროვნებით და მას აქვს დაუოკებელი წადილი სიტყვიერი ადექვატი შექმნას ყველაფერ იმისა, რასაც ხედავს და განიცდის, რაზეც ოცნებობს, რაც შეიმეცნა, ან რაც მის ხსოვნას მემკვიდრეობით გადმოეცა. და ეს

ყველაფერი, რაც წარსულიდან გადმოვცა ან რაც მის აწმყოში შეიქმნა, მრავალფეროვან ჟანრებად არის დაკრისტალებული.

ეს არის მითოლოგიური და ნახევრადისტორიული ეპოსები, ღმერთებისა და ადამიანების ურთიერთობანი და მათი საქმენი საგმირონი, ღვთაებათა მოგზაურობანი ქალაქითი ქალაქად, მეფეთა საომარი და სამშენებლო წარწერები, ღმერთების, ტაძრების, ღვთიური საგნების თუ მოვლენებისადმი მიძღვნილი საგალობლები, მეფეთა სახოტბო პოეზია, იგავეები და შეგონებები, არსებათა, საგანთა თუ მოვლენათა გაბაასებანი, ქალაქთა თუ დინასტიათა დამხობის გამო გოდებანი, ინანა-დუმუზის სასიყვარულო დრამა და ლირიკა, ელეგიები და სხვა და სხვა. არ არსებულა ხალხის ყოფა-ცხოვრების რაიმე კუნჭული, რომელიც პოეტური ჟანრის სახით არ ყოფილიყო წარმოდგენილი.